ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №376262

ნომერი: AR181604

თარიღი : 19.09.2012

გაცემის თარიღი : 03.10.2012

გაცნობის თარიღი : 04.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინამძღვრიშვილი , N194- ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა სახელაშვილი პ/ნ 01019051846
- თბილისი ზედაზენის ქ. N 43ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში , წინამძღვრიშვილის ქ. 194-ის მიმდ. ბაზრის ღობის რეკონსტრუქციის საკითხს.
საკითხი განიხილა საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულმა სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ, რომლის დასკვნის საფუძველზეც დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. 194-ის მიმდ. ბაზრის ღობის რეკონსტრუქციის საკითხს. ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება 1 კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის ” თბილისის არქიტექტურის სამსახური”. ” მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (1. მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით 01.13.07.023.070; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 882012550932, 22.08.2012; 2. არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციასთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. 194-ის მიმდ. ბაზრის ღობის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.
აქვე გაცნობებთ, რომ თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge